~~1937/2~~
F-133
1937

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1937 წ. აპრილის 10. № 6 ტფილისი.

## შინაარსი

განათლება.

37. სკოლამდე აღზრდის სრულიად საქართველოს კოოპერაციის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება სკოლამდე აღზრდის სრულიად საქართველოს კოოპერაციის შესახებ.

## განათლება

### 37. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**სკოლამდე აღზრდის სრულიად საქართველოს კოოპერაციის დებულების დამტკიცების შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას დებულება სკოლამდე აღზრდის სრულიად საქართველოს კოოპერაციის შესახებ.

2. მიენდოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს — დაამტკიცოს სკოლამდე აღზრდის კოოპერაციის კავშირის წესდება და სარაიონო ამხანაგობათა ტიპიური წესდება.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**
საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**
სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ყელენტი.**

1937 წ. თებერვლის 5. № 197/147.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## სკოლამდე აღზრდის სრულიად საქართველოს კოოპერაციის შესახებ.

### I. ზოგადი დებულებანი.

1. სკოლამდე აღზრდის სრულიად საქართველოს კოოპერაცია ეწყობა იმ მიზნით, რათა მოიცვას არაორგანიზებული ბავშვთა მოსახლეობა სკოლამდე აღზრდის ასაკისა, პირველ ყოვლისა მუშების და კოლმეურნეების ბავშვები, სხვადასხვა სახის საბავშვო კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებით და აღზარდოს მათგან საღი კომუნისტური თაობა.

სკოლამდე აღზრდის კოოპერაციის მეთოდიკური, საორგანიზაციო და კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის ხელმძღვანელობას და კონტროლს ახორციელებს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი.

2. აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად სკოლამდე აღზრდის კოოპერაცია:

ა) ამუშავებს სკოლამდე ბავშვთა აღზრდის კოოპერაციის სისტემის მშენებლობისა, კულტურულ-განმანათლებელი და სამეურნეო საქმიანობის გეგმებს;

ბ) ამუშავებს სკოლამდე აღზრდის კოოპერაციის ამხანაგობებად მოსახლეობის კოოპერირების გეგმას;

გ) აწყობს და ინახავს ბავშვებისათვის მომსახურეობის გამწევ სხვადასხვა სახის დაწესებულებებს (საბავშვო ბაღებს, დასვენების სახლებს, გამაჯანსაღებელ სადგურებს, საბავშვო სანატორიუმებს და ინტერნატებს, დიეტიკურ სასადილოებს, მოძრავ კინოებს, საბავშვო ფოტოგრაფიებს და სხვა მისთ.);

დ) აწყობს და ინახავს საბავშვო დაწესებულებებისათვის მომსახურეობის გამწევ საწარმოო და საყოფაცხოვრებო წამოწყებებს, ხოლო თავისი საფინანსო, სასურსათო და მატერიალური ბაზის გასაძლიერებლად აწყობს სამეურნეო ანგარიშზე მყოფ წამოწყებებს, როგორიცაა: პოლიტექნიკური სათამაშოების, საბავშვო ავეჯეულობის, ფეხსაცმლის და ტანსაცმლისა და სხვა საბავშვო ნაკეთობის ფაბრიკები და სახელოსნოები, კულტბაზები, სამხატვრო-დიდაქტიკური სახელოსნოები და სავაჭრო წამოწყებები პირველი საჭიროების საგნებით ბავშვთა და დედათა მოსამარაგებლად;

ე) აწვდის სკოლამდე აღზრდის კოოპერაციის სისტემის საბავშვო დაწესებულებებს პოლიტექნიკურ სათამაშოებს, დამხმარე სასწავლო საგნებს, საყოფაცხოვრებო საგნებს, საბავშვო ავეჯეულობას და გაწყობილებას;

ვ) ასაღებს თავისი წამოწყებების პროდუქციას სავაჭრო წერტების მეშვეობით;

ზ) ეწევა მასურ კულტურულ მუშაობას იმ ბავშვებს შორის, რომელნიც მოცულ არ არიან საბავშვო დაწესებულებებით, უპატრონობის სალიკვიდაციოდ (საბავშვო კუთხე მუშათა ოჯახებში, საბავშვო კუთხეები და კლუბები საერთო-საცხოვრებლებსა და შახტებში, საბავშვო ბაქნები სკვერებსა და ბულვრებზე, მედკონსულტაციები, ტიკინა-თეატრები და სხვა მისთ.);

თ) ეწევა ახსნა-განმარტებითს მუშაობას მუშათა, კოლმეურნეთა და ყველა სხვა მშრომელთა შორის ბავშვების კომუნისტურად აღზრდისა და ბავშვთა უპატრონობის ლიკვიდაციის აოცანების სფეროში

ი) ახორციელებს მასურ კულტურულ-განმათლებელ და პედაგოგიურ მუშაობას მეპაიეთა შორის, რისთვისაც აწყობს ლექციებს, მოხსენებებს, კურსებს, გამოფენებს, მუზეუმებს, ბიბლიოთეკებს;

კ) აგროვებს და აქვეყნებს სტატისტიკურ და სხვა მასალას სკოლამდე აღზრდის კოოპერაციის საკითხების შესახებ;

ლ) ახორციელებს ყველა სხვა მოქმედებას, რაც მიმართულია 1-ლ მუხლში აღნიშნულ ამოცანათა მისაღწევად.

3. სკოლამდე აღზრდის კოოპერაციის ადგილობრივი ორგანოებია სარაიონო ამხანაგობანი.

სკოლამდე აღზრდის კოოპერაციის ცენტრალური ორგანოა სკოლამდე აღზრდის საქართველოს სსრ კოოპერაციის კავშირი.

4. სკოლამდე აღზრდის საქართველოს სსრ კოოპერაციის კავშირს და აგრეთვე სარაიონო ამხანაგობათ აქვთ, მათთვის დაკისრებული ამოცანების ფარგლებში, იურიდიული პირის უფლებანი, სხვადასხვა ხელშეკრულების და გარიგების დადებისა, ქონების შეძენის და გასხვისებისა და სასამართლოში სარჩელის და პასუხისგების უფლება.

5. სკოლამდე აღზრდის კოოპერაციის კავშირს და ამხანაგობათ აქვთ ბეჭედი და შტამპი თავიანთი სახელწოდების აღნიშვნით.

6. სკოლამდე აღზრდის კოოპერაციის კავშირი და სარაიონო ამხანაგობანი პასუხს აგებენ მთელი თავიანთი ქონებით; ამის გარდა, კავშირის და სარაიონო ამხანაგობის წევრნი დამატებითს პასუხს აგებენ თავიანთი საპაიო შენატანის ერთმაგი რაოდენობის ფარგლებში.

7. კავშირის წესდებას და სარაიონო ამხანაგობის ტიპიურ წესდებას ამტკიცებს საქართველოს სსრ გახათლების სახალხო კომისარიატი.

## II. სკოლამდე აღზრდის კოოპერაციის სარაიონო ამხანაგობის შედგენილობა და კოოპერაციის წევრთა უფლება-მოვალეობანი.

8. სარაიონო ამხანაგობის წევრად შეიძლება იყოს ყველა მშრომელი, დაწყებული 16 წლის ასაკიდან, და აგრეთვე სახელმწიფო, კოოპერატიული, საზოგადოებრივი და პროფესიული ორგანიზაცია.

9. ამხანაგობის წევრთ მიიღებს ამხანაგობის გამგეობა—ამხანაგობაში წევრად შესვლის შესახებ შეტანილი წერილობითი განცხადების საფუძველზე.

10. ამხანაგობაში წევრად შესვლა და ამხანაგობიდან გამოსვლა ნებაყოფლობითა.

11. ამხანაგობის წევრი ამხანაგობაში შესვლისას მოვალეა გაიღოს საწევრო შესატანი და შემდგომ შეასრულოს ამხანაგობის წესდება და იხადოს საპაიო შენატანი.

12. ამხანაგობის ᲧᲕᲔᲚᲐ წევრს უფლება აქვს გამოიყენოს ამხანაგობის ᲧᲕᲔᲚᲐ საბავშვო და კულტურულ-საყოფ ცხოვრებო დაწესებულება საერთო კრების ან რწმუნებულთა კრების მიერ დადგენილი წესით.

13. ამხანაგობის წევრი შეიძლება გამორიცხულ იქნას ამხანაგობიდან საერთო კრების (ან რწმუნებულთა კრების) მიერ მისი წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

## III. ამხანაგობის სახსარი.

14. ამხანაგობის სახსარი შესდგება წესდების თანახმად წევრების მიერ ამხანაგობაში წარდგენილი შესასვლელი და საპაიო შენატანისა, მოგების ანარიცხებისა და სხვა შემოსავლისაგან.

15. ამხანაგობის სახსარს შეადგენს ძირითადი, საპაიო და საბრუნავი კაპიტალები და აგრეთვე სპეციალური ფონდები. ამ კაპიტალებისა და ფონდების შექმნისა და ხარჯვის წესი განისაზღვრება ამხანაგობის წესდებით.

## V. სკოლამდე აღზრდის კოოპერაციის კავშირი, მისი შედგენილობა და წევრების უფლება-მოვალეობანი.

17. სკოლამდე აღზრდის კოოპერაციის კავშირი ორგანოა, რომელიც აერთიანებს საერთონო ამხანაგობათა მუშაობას და ხელმძღვანელობას უწევს ამ მუშაობას.

18. კავშირის წევრებად შეიძლება იყვნენ სკოლამდე აღზრდის კოოპერაციის ამხანაგობანი, რომელთა გამგეობანიც იმყოფებიან საქართველოს სსრ-ის ფარგლებში.

კავშირის წევრთა რიცხვი უნდა იყოს არა ნაკლებ სამისა.

19. კავშირის წევრებს მიიღებს კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი—კავშირში წევრად შესვლის შესახებ წარდგენილი წერილობითი განცხადების საფუძველზე. იმ კოოპერატიულ ორგანიზაციას, რომელიც მიღებულ არ იქნა კავშირში, შეუძლია განასაჩივროს უარი მიღებაზე კავშირის გამგეობაში, ხოლო ამ უკანასკნელის უარი—რწმუნებულთა კრებაში, რომელსაც გამოაქვს საბოლოო გადაწყვეტილება.

20. კავშირში წევრად შესვლა და კავშირიდან გამოსვლა ნებაყოფლობითია.

21. კავშირში შემავალი ორგანიზაცია მოვალეა გაიღოს შესასვლელი შესატანი და იხადოს საპაიო შესატანი.

22. კავშირში შემავალი ორგანიზაცია პასუხს აგებს კავშირის იმ ვალდებულებათათვისაც, რაც წარმოიშვა კავშირში მის შესვლამდე.

23. კავშირის წევრი მოვალეა:

ა) დაემორჩილოს წესდების წესებს და აგრეთვე რწმუნებულთა კრების, გამგეობისა და მისი პრეზიდიუმის დადგენილებებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) წარუდგინოს კავშირს არა ნაკლებ, ვიდრე წელიწადში ერთხელ, თავისი საქმიანობის ანგარიში და აგრეთვე სტატისტიკური და სხვა ცნობები კავშირის გამგეობის მიერ დადგენილი ფორმით და მის მიერვე განსაზღვრულ ვადაზე;

გ) მოიწვიოს კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წინადადებისამებრ საერთო საგანგებო კრება ან რწმუნებულთა კრება კავშირის შეტყობინებათა და წინადადებათა განსახილველად;

დ) უჩვენოს კავშირის გამგეობის პრეზიდიუმს და პრეზიდიუმის მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირთ თავისი დავთრები და საქმეები გამოსაკვლევად და სარევიზიოდ და იხმაროს საჭირო ღონისძიებანი კავშირის მიერ მითითებულ ნაკლოვანებათა ასაცილებლად;

ე) აცნობოს კავშირის გამგეობის პრეზიდიუმს ამხანაგობის წესდების ცვლილებანი და დამატებანი, გამგეობის შედგენილობაში მომხდარი ცვლილებანი და კავშირის რწმუნებულთა კრებაზე წარმომადგენლების შეცვლა.

24. კავშირის თვითეულ წევრს უფლება აქვს:

ა) მიიღოს მონაწილეობა კავშირის ორგანოებში კავშირის წესდებით განსაზღვრული წესისამებრ;

ბ) გამოიყენოს კავშირის მომსახურეობა კავშირის მიერ დადგენილ საფასურზე;

გ) წაუყრდგინოს კავშირს განსახილველად თავისი წინადადებანი ყველა იმ საკითხზე, რაც მისი გადასაწყვეტია, შეიტანოს კავშირში წერილობითი განცხადებანი კავშირის ყველა ორგანოს საქმიანობის შესახებ—კავშირის სათანადო ორგანოების მიერ ამ წინადადებათა და განცხადებათა განსახილველად და გადასაწყვეტად.

25. კავშირის წევრი შეიძლება გამორიცხულ იქნას კავშირიდან კავშირის წესდებით განსაზღვრულ შემთხვევაში.

26. კავშირიდან გამოსული ან გამორიცხული წევრი, კავშირის სხვა წევრთა თანაბრად, პასუხს აგებს დამატებით კავშირის ვალდებულებათათვის, უკეთუ კავშირი არაშემძლეობის გამო მიქცეულ იქნება სალიკვიდაციოდ, ერთი წლის განმავლობაში წევრის გამოსვლის თუ გამორიცხვის დღიდან. ხოლო, უკეთუ კავშირის წევრი გამოსვლისას თუ გამორიცხვისას არ დაფარავს თავის დავალიანებას კავშირისადმი, აღნიშნული ერთი წლის ვადა გამოიანგარიშება კავშირისადმი დავალიანების სრულად დაფარვის დღიდან.

## VI. კავშირის სახსარი.

27. კავშირის სახსარს შეადგენს ძირითადი, საპაიო, საბრუნავი და სპეციალური კაპიტალები და აგრეთვე სპეციალური ფონდები.

ამ კაპიტალებისა და ფონდების შექმნისა და ხარჯვის წესი განისაზღვრება კავშირის წესდებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## VII. კავშირის მოგებისა და ზარალის განაწილება.

28. კავშირის მოგება და ზარალი განაწილდება იმ წესების შეფარდებით, რაც დადგენილია კოოპერაციული ორგანიზაციებისათვის.

## VIII. კავშირის მმართველობისა და კონტროლის ორგანოები.

29. კავშირის მმართველობის ორგანოებია კავშირის წევრთა საერთო კრება ან რწმუნებულთა კრება, გამგეობა და მისი პრეზიდიუმი; კონტროლის ორგანოა სარევიზიო კომისია.

საერთო კრების უფლება-მოვალეობანი და აგრეთვე რწმუნებულთა კრების, გამგეობის, პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიის არჩევის წესი და უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება კავშირის წესდებით.

## IX. სკოლამდე აღზრდის კოოპერაციის კავშირისა და სარაიონო ამხანაგობის ლიკვიდაცია.

30. სკოლამდე აღზრდის კოოპერაციის ამხანაგობათა და აგრეთვე მათი ავშირის ლიკვიდაცია ხდება იმ წესით, რაც განსაზღვრულია მოქმედი კანონ-ქმდებლობით და კავშირის თუ ამხანაგობის წესდებით.

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმ. მმართველობა 1937 წ. № 11. 3/მ. რედაქტორი ე. გამრეკელი

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ. 3/8 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 20|II; ხელმოწერილია დასაბეჭდად 1|IV; ტირაჟი. 2.000.

მთავლ. რწმ. № 16972 საქ. სახ. კომ. საბჭოს საქმ. მმართვ. სტამბარ ტფილისი. დაკვ. № 338